

02/07 2 ივლისი 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,


ჩვენი 2020 წლის 3 ივნისის № 04/06 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქ. რუსთავეში სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის მოწყობის სკრინინგის განცხადებას, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ დამატებით ინფორმაციას:

1. საწარმო წლის განმავლობაში იმუშავებს 240 დღის განმავლობაში, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით და დღის განმავლობაში შესაძლებელი იქნება, მაქსიმუმ 4 ტექნოლოგიური ციკლის განხორციელება.
2. საპროექტო ტერიტორიაზე უკვე დამონტაჟებულია თავად ავტოკლავი, რაც წარმოდგენილი ფოტო მასალიდანაც ჩანს. ავტოკლავის მოწყობა გულისხმობს ავტოკლავის აღჭურვას დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობებით (გამოხდილი წყლის აპარატი, ორთქლის აპარატი, მანომეტრი, კონდენსატის შეგროვების და წყლის გამოხდის აპარატიში დაბრუნების სისტემა, ტექნოლოგიური მილსადენები) და ელექტრო ენერჯის ქველთან მიერთებას.
3. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით გათვალისწინებულია ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმოს მოწყობა. მომსახურე პერსონალის რაოდენობის (4 კაცი) და ერთ მომუშავეზე დღის განმავლობაში 45 ლ წყლის გათვალისწინებით, დღის განმავლობაში მოხმარებული წყლის რაოდენობა იქნება 180 ლ. მოხმარებული წყლის 5%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება 171 ლ/დღ ანუ 0.171 მ<sup>3</sup>/დღ. წლის განმავლობაში სამუშაო დღეების მაქსიმალური რაოდენობა იქნება 240 და შესაბამისად წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლები იქნება 41.04 მ<sup>3</sup>/წელ. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით, ეზოს ტერიტორიაზე დაგეგმილია 6 მ<sup>3</sup> ტევადობის ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმოს მოწყობა (იხ. დანართი 1), რომლის განტვირთვა მოხდება სპეციალური ავტომანქანით, ქ. რუსთავეის წყალკანალის მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
4. საწარმო-ჩამდინარე წყლის შემკრები რეზერვუარი არის იგივე ჭა, რომელიც მოწყობილია საპროექტო ტერიტორიის ეზოში და მისი მოცულობა შეადგენს 1,5 მ<sup>3</sup>. თანდართულ ნახაზზე მოცემულია ტრაპი, რომელიც მოწყობილია ავტოკლავისათვის განკუთვნილ ოთახში და უკავშირდება აღნიშნულ ჰერმეტიკულ ჭას. (იხ. დანართი 1)
5. ობიექტზე, წინასწარი დამუშავების მიზნით შემოტანილი იქნება შემდეგი სახეობის ნარჩენები:
  - 18 01 01 - მჭრელი საგნები (გარდა 18 01 03);
  - 18 01 03\* - ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით;
  - 18 01 10\* - სტომატოლოგიური მომსახურების შერეული ნარჩენები;
  - 18 02 01 - მჭრელი საგნები (გარდა 18 02 02);



- 18 02 02\* - ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით.
6. დაგეგმილი საქმიანობა, საქართველოს კანონის, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-2 დანართის შესაბამისად, წარმოადგენს განთავსების ოპერაციას კოდით D9 (ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება, რომელიც არ არის მოცემული ამ დანართში და რომლის შედეგად მიღებული საბოლოო ნაერთები ან ნარევი D1-დან D12-ის ჩათვლით კოდეზში ჩამოთვლილი ოპერაციების საშუალებით არის განთავსებული (მაგ.: აორთქლება, გაშრობა, კალცინირება და სხვ.).

პატივისცემით,

დავით მეგრელიშვილი 

შპს "ბიოლოგიკა"-ს დირექტორი



დანართი 1. სახიფათო ნარჩენების წინასწარი-დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის გეგმა

